



**ტერიტორიის გამოყენება სიმპატრული მტაცებლების მგლისა და ტურის
მიერ**

თამარ უგუზაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი, სრული პროფესორი

თანახელმძღვანელი: დავით დეკანოიძე, მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თამარ უგუზაშვილი

სარჩევი

აბსტრაქტი	3
შესავალი	5
საკვლევი ტერიტორიის აღწერა	10
მეთოდები	15
მიღებული შედეგები	17
მიღებული შედეგების განხილვა	26
დასკვნა	32
სამადლობელი	34
ციტირებული ლიტერატურა	35
დანართი	42
.....	45

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა, რამდენად იყენებენ ტერიტორიებს მგლები და ტურები ადამიანების მჭიდრო დასახლებების სიახლოვეს.

11 თვიანმა კვლევამ მგლისა და ტურის აქტიურობისა და ტერიტორიის განაწილების შესახებ აჩვენა, რომ მგლის მიერ გამოყენებული ტერიტორიები ემთხვევა ტურის მიერ გამოყენებულს. თუმცა, ტურა უფრო მეტ წერტილზე და გაცილებით ხშირად დაფიქსირდა. ტურა ძალისებრ მტაცებელთა გილდიის საშუალო ზომის, ხოლო მგელი კი დიდი ზომის მტაცებელია, შესაბამისად ტურის რიცხოვნობა მეტია, ვიდრე მგლის. გარდა ამისა, ტურას შეუძლია უფრო ეფექტურად გამოიყენოს ნაკლებად ხარისხიანი ჰაბიტატები, ვიდრე მგელს.

მგლები ზღვის დონიდან 1100 მ-ზე მაღლა მდებარე კამერებმა გადაიღო, ტურების გადაღების სიხშირეზე სიმაღლეს გავლენა არ ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ ტურები კამერებთან 24 საათის განმავლობაში აქტიურობდნენ, განსაკუთრებით მაღალი აქტიურობა 18:00-დან დილის 9 საათამდე შეინიშნებოდა. ამ პერიოდს ემთხვეოდა მგლის აქტიურობაც.

ველური და შინაური ძაღლისებრების სადღეღამისო აქტივობის პერიოდები სარწმუნოდ განსხვავდებოდა. სავარაუდოდ, მათი აქტივობა განაწილებულია დროში: ძაღლები საკვლევ ტერიტორიას ძირითადად 18 საათამდე იყენებენ, ხოლო ტურები და მგლები 18ს-დან გამთენიამდე.

ტყის ლაქებს თბილისის მიმდებარედ, სათოვლის ქედზე, მგლები და ტურები ზაფხულში და გაზაფხულზე ხშირად იყენებენ, რაც სავარაუდოდ, ამ პერიოდში საკვები ბაზის სიუხვით აიხსნება.

გარეული ძუძუმწოვრების მრავალფეროვნება ფოტომახების მიმდებარედ სარწმუნოდ განსხვავდებოდა ტერიტორიებისა და სეზონების მიხედვით. მრავალფეროვნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა იმ კამერებთან, სადაც იყო რამდენიმე ბილიკის თანკვეთა და ღელე კამერასთან ახლოს.

მგლისა და ტურის გადაღების სიხშირეზე გავლენა ჰქონდა დასახლებული პუნქტებიდან დაშორების და კამერის სადგურის გარშემო ტერიტორიის ტყით დაფარულობის კომბინაციას.

ტურის გადაღების სიხშირე სარწმუნო კავშირში იყო საქონლის გადაღების სიხშირესთან. ტურას შესაძლებელია იზიდავდეს როგორც ხბოები და დეკეული, ისე მწყემსის ბინების მახლობლად წარმოქმნილი დროებითი ნაგავსაყრელები.

მგლების მიერ ტერიტორიის გამოყენების დაბალი სიხშირე აჩვენებს, რომ საკვლევო ტერიტორია არ წარმოადგენს მათ სამოსახლო ტერიტორიას, ან იგი სამოსახლო ტერიტორიის კიდურა ნაწილია, რომელსაც მგლები იშვიათად იყენებენ. ამაზე მიუთითებს ტერიტორიაზე ძირითადად ახალგაზრდა მგლების გადაღებაც.

იმისათვის რომ გვეჩვენოს მეტი ინფორმაცია ტურისა და მგლის მიერ ტერიტორიის გამოყენების და საკვები ბაზის განაწილების შესახებ, საჭიროა კვლევის გაგრძელება. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი იქნება მგლის და ტურის მენეჯმენტისთვის.